# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

**N** 6

ქ. თბილისი „18“ იანვარი 2017 წ.

**სსიპ პროფესიული კოლეჯი თეთნულდი,** შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი დირექტორის ირმა ჯაფარიძის სახით და **ფ/პ უშანგი ჯაბანაშვილი**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა, საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს!“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეცხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ერთი ერთეული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავება (მძღოლის გარეშე) (კლასიფიკატორის CPV-60100000) დანართის შესაბამისად. აღნიშნული დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1800 (ათას რვაასი) აშშ დოლარს**, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევი ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2 მომსახურების ერთეულების რაოდენობა და ერთეულის ფასი განსაზღვრულია დანართით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა;

გ) პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" მომსახურების ღირებულება.
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ყოველთვიურად, თვის განმავლობაში გაწეული ფაქტიური მომსახურების შესაბამისად, წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - ზაზა ცირამუა.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა)ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის გათვალისწინებით.
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
გ) დაფინანსების წყარო: სსიპ პროფესიულ კოლეჯ თეთნულდსა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდს შორის „ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების ერთიანი მოდელის დანერგვა საქართველოს რეგიონებში და მათ ბაზაზე საერთაშორისო სერტიფიცირებული პროგრამების დაფუძნება" პროგრამის ფარგლებში დადებული კონტრაქტით (N-123) მიღებული სახსრები.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება მიღებული მომსახურების შესაბამისად მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სხვა სახის არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების 9.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცილებისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

12.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

12.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

12.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

12.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

12.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

## 16. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი:**
სსიპ პროფესიული კოლეჯი თეთნულდი
წარმოდგენილი მისი
დირექტორის ი.ჯაფარიძის სახით,
მისამართი: დ.მესტია, ე.ფარჯიანის ქ.25,
ტელეფონი: 577 582424,
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ანგ. №GE24NB0330100200165022,
ს/კ - 235891512

**მიმწოდებელი:**
ფ/პ უშანგი ჯაბანაშვილი,
მისამართი: გლდანის მასივი,
1 მ/რ,16-კორპუსი, ბინა 122
ტელეფონი: 577 734 779,
საბანკო რეკვიზიტები
სს "თიბისი ბანკი"
ანგ.№GE32TB7408945063600019,
კოდი: TBCBGE22,
პ/ნ 01021011584

დანართი

| მომსახურების დასახელება | ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალების შესახებ | მომსახურების გაწევის პერიოდი/რაოდენობა | ერთი დღის მომსახურების ღირებულება (აშშ დოლარი) | საერთო ღირებულება (აშშ დოლარი) |
|---|---|---|---|---|
| ერთი ერთეული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავება | ✓ მწარმოებელი - Mitsubishi<br>✓ მოდელი - Pajero io<br>✓ საწვავის ტიპი - ბენზინი<br>✓ გამოშვების წელი - 1998წ.<br>✓ საჭის მდებარეობა - მარცხენა | 2017 წლის 31 დეკემბრამდე, 36 დღე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად | 50 | 1800 |

- ✓ ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, კოსტავას N77 („ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების ერთიანი მოდელის დანერგვა საქართველოს რეგიონებში და მათ ბაზაზე საერთაშორისო სერტიფიცირებული პროგრამების დაფუძნება" პროგრამის ოფისი).
- ✓ ერთ დღეში იგულისხმება 24 საათი, რომლის ათვლა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრულ დროს მიმწოდებლის მიერ ავტომანქანის მიწოდების მომენტიდან.
- ✓ მომსახურების გაწევისას ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს ტექნიკურად გამართული, აღჭურვილი გათბობა-კონდიცირების გამართული სისტემით, დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების, ასევე სანიტარული ნორმები;
- ✓ მომსახურების გაწევისას საჭირო საწვავით უზრუნველყოფას ახორციელებს შემსყიდველი;

შემსყიდველი:

სსიპ პროფესიული კოლეჯი თეთნულდი
წარმოდგენილი მისი
დირექტორის ირმა ჯაფარიძის სახით,

მიმწოდებელი:

ფ/პ უშანგი ჯაბანაშვილი